პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

პროგრამა EU4Digital

განხორციელების ვადა: 01.01.2019 - 31.03.2022

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 11 000 000

პროექტის ვებსაიტები: http:/www.eufordigital.eu

პროექტის აღწერა:

ინიციატივის EU4Digital მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რაც ხორციელდება ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარებით ეკონომიკური ზრდის, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით. ამ ინიციატივის საშუალებით ევროკავშირი ხელს უწყობს როუმინგის ტარიფების შემცირებას, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის დანერგვას ეკონომიკის განვითარების და ელექტრონული მომსახურების გაფართოების მიზნით, კოორდინირებულ კიბერუსაფრთხოებას და ციფრული ჩარჩოს ჰარმონიზაციას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში (დაწყებული ლოგისტიკით და დამთავრებული ჯანმრთელობით), უნარების გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების შექმნას ციფრულ ინდუსტრიაში.

მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამა საკუთარ მხარდაჭერას ახორციელებს პოლიტიკის ექვს ძირითად სფეროში:
ტელეკომის წესები: ძალისხმევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ერთიანი როუმინგის სივრცის მიღწევისათვის, ასევე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის გაძლიერება და სიხშირის განაწილების კოორდინირებული სტრატეგიის შემუშავება.
ნდობა და უსაფრთხოება: EU4Digital ხელს უწყობს ნდობის სამსახურების განვითარებას ციფრულ ეკონომიკაში და კიბერ-უსაფრთხოებაში იმ უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურის სიცოცხლისუნარიანობის გასაუმჯობესებლად, რომელიც არის ოპერაციულად თავსებადი სახელმწიფოთაშორისი ელექტრონული სერვისების ძირითადი შემადგენელი ნაწილი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.
ე-ვაჭრობა: როგრამა ხელს უწყობს ვაჭრობის გამარტივებას და ჰარმონიზაციას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და ევროკავშირთან; ეს ხორციელდება ე-კომერციის, ე-საბაჟოსდა ე-ლოგისტიკის საერთო ჩარჩოების მხარდაჭერით, ასევე მუშაობით ციფრული სატრანსპორტო დერეფნების საკითხებზე.
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) ინოვაციები: EU4Digital ხელს უწყობს რეფორმებს და საქმიანობას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) კვლევის, „სტარტაპების“ და ინოვაციური ეკოსისტემების განვითარების მხარდასაჭერად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, ევროკავშირის გამოცდილების და სათანადო პრაქტიკის საფუძველზე.
ე-ჯანმრთელობა: ეს პროგრამა ხელს უწყობს ე-ჯანმრთელობის ჰარმონიზებული ეროვნული ჩარჩოს შექმნასროგორც